

თვითმმართველობის არჩევნები საქართველოში, კრიტიკული ანალიზი

თენგიზ მესხიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის  
ფაკულტეტზე საჯარო სამართლისა და პოლიტიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის*

*მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

საჯარო სამართალი და პოლიტიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი მელაძე, ილიას უნივერსიტეტის ასოცირებული  
პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორებისადმი აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან/და დასაცავად წარგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თენგიზ მესხიშვილი

01.07.2019

# სარჩევი

შესავალი .....	6
საარჩევნო სისტემის ფორმირება საქართველოში .....	8
თვითმმართველობის არჩევნების მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების მიმოხილვა.....	10
თვითმმართველი თემებისა და თვითმმართველი ქალაქების საკრებულოების არჩევნები.....	14
პარტიების რეგისტრაცია ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე.....	17
2006 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები .....	18
წინასაარჩევნო კამპანიაში ხელისუფლების წარმომადგენლებისა და ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების პრობლემა.....	22
2010 წლის თვითმმართველობის არჩევნები .....	27
2010 წლის თვითმმართველობის არჩევნებზე არსებული საკანონმდებლო ბაზის ხარვეზები .....	29
2010 წლის თვითმმართველობის არჩევნებზე გამოვლენილი დარღვევები .....	32
2010 წლის საკონსტიტუციო ცვლილებები.....	36
ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმა 2013 წელი .....	38
2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები .....	39
2014 წლის თვითმმართველობის არჩევნებზე არსებული საკანონმდებლო ბაზის ხარვეზები .....	41
2014 წლის თვითმმართველობის არჩევნებზე გამოვლენილი დარღვევები .....	43
2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები .....	45
2017 წლის თვითმმართველობის არჩევნებზე არსებული საკანონმდებლო ხარვეზები .....	46
2017 წლის თვითმმართველობის არჩევნებზე გამოვლენილი დარღვევები .....	49
დასკვნა.....	52

## აბსტრაქტი

დემოკრატიული ღირებულებები, რომელიც მოიცავს თავისუფალი არჩევანის ქონის უფლებას, თანამედროვე, განვითარებული ქვეყნების უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. თითქმის ყველა დემოკრატიული სახელმწიფო ცდილობს დახვეწოს, განავითაროს და გააფართოოს მოქალაქეთა პოლიტიკაში ჩართულობის ფორმები. თანამედროვე ქართული დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა საბჭოთა კავშირიდან გამოყოფითა და დამოუკიდებლობის მოპოვებით იწყება. ქართული სახელმწიფოებრიობის ამ მცირე პერიოდში ყველა ხელისუფალი მეტ-ნაკლები მონდომებით ცდილობს შექმნას საარჩევნო სისტემა, რომელიც ყველაზე ეფექტურად იქნება საზოგადოების აზრისა და ინტერესების გამომხატველი, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ არაერთი მცდელობის მიუხედავად დღემდე ვერ შევქმენით საარჩევნო სისტემა, რომელიც თანაბრად გამოხატავს ყველას ინტერესებს და დღესაც გრძელდება პოლიტიკური დაპირისპირება საარჩევნო სისტემის ხარვეზების აღმოსაფხვრელად. დაპირისპირების ძირითადი საგანი კი მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის არსებობა, არ არსებობაა მომავალ საპარლამენტო არჩევნებში. ძირითადად ყველა მნიშვნელოვანი პოლიტიკური საარჩევნო ბრძოლა, სწორედ, საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებს უკავშირდებოდა. პოლიტიკას ნაკლებად აინტერესებს ადგილობრივი თვითმმართველი ქალაქებისა და თემების რეალური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა, შესაბამისად დღემდე ვერ განხორციელდა ქვეყნის მიერ წლების წინ აღიარებული მიზანი, დეცენტრალიზაცია.

მოცემულ ნაშრომში მიმოვიხილავ ქართული საარჩევნო სისტემის ჩამოყალიბების ისტორიას, გავაანალიზებ საარჩევნო კანონმდებლობას, ასევე 2006 წლიდან 2019 წლამდე ჩატარებულ თვითმმართველობის არჩევნებს, გამოვკვეთ ხარვეზებსა და ნაკლოვანებებს, საარჩევნო კანონმდებლობაში, რომელებიც ხელს უწყობს არაჯანსაღი პოლიტიკური სპექტრის არსებობას თვითმმართველობებში და ხელს უშლის მოქალაქეთა დემოკრატიული ნების გამოხატვას, ასევე შევაფასებ საარჩევნო

კანონმდებლობის გავლენას დეცენტრალიზაციაზე და დავადგენ რამდენად შეესაბამება ის ხელისუფლების მიერ გაცხადებულ დეცენტრალიზაციის პოლიტიკას.

## **Abstract**

Democratic values, which include the right to free choice, are the most important component of modern, developed countries. Almost every democratic state seeks to improve, develop and expand the forms of citizens' engagement in politics. Construction of the modern Georgian democratic state begins with the separation from the Soviet Union and obtaining independence. In a short period of Georgian independent state all governments are more or less eager to create an electoral system that will most effectively reflect the public opinion and interests, however, it should be noted that despite numerous efforts we still could not create an election system that equally reflects all the interests and political controversy about electoral shortcomings continues. The main subject of the confrontation is the existence of a majoritarian electoral system, should it stay or not this way in the upcoming parliamentary elections. Basically, all important political electoral battle was related to parliamentary and presidential elections. Politicians are less interested in ensuring the real independence of local self-governing cities and communities, and thus the country's decade long decentralization goal has not been achieved yet.

In this study I will overview the establishment of the Georgian electoral system, the Georgian electoral legislation, the local self-governance elections from 2006 to 2019, the flaws and shortcomings in the election legislation that encourage the existence of an unhealthy political spectrum in local self-governments and hamper the democracy of citizens, I will also evaluate the influence of the electoral legislation on decentralization and determine whether it is the decentralization policy announced by the government.